




— მამიკო, სკოლაში მივლივარ!

# ნიუნუნი

3





უსიტყვოდ

**იხლენი** ყალბი ცნობა და მოწმობა აქვს ჭიჭიკო ივლიანეს ძე ღვინაძის, რომ ვერც გაიგებ ზუსტად, სად დაიბადა — წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფშკვიტში, თუ გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაჯახაოში, ოფშკვიტში ცხოვრობს, თუ სამტრედიისში, 1951 წელს დაქორწინდა **ლელია თეოფილეს ასულ გეგეჭკორზე**, თუ — 1968 წელს!..

სინამდვილეში ისინი 1951 წლის თებერვალში დაქორწინდნენ. რადგან ჭიჭიკო წისქვილში შემოჩვეული თავივით ღარიბი იყო და ნალიაში ათევედა ღამეს სიმონა დოლიძესავით. ლელია ყოველმხრივ ეხმარებოდა მას, საბნების კერვაში აღებული ფულითა და დაფნის შემოსავლით არჩენდა უსაქმურ ქმარსა და მის მოხუც დედას. გაიძვერა ჭიჭიკომ ალალ და ერთგულ ქალს 1500 მანეთი დაცანცლა და ოფშკვიტში ორსართულიანი სახლი აიშენა. ჩემი და ჭიჭიკოსი რამ გაპყოო?! — გაიფიქრა ლელიამ და აქაც გაუწოდა დახმარების ხელი. მაგრამ ჭიჭიკომ, როგორც კი აიშენა სახლი, 1972 წლის იანვარში, **სამტრედიის სახალხო სასამართლოში** თავის მეუღლესთან განქორწინებაზე შეიტანა განცხადება, თან **მოსამართლე ი. ფახურიძეს** ყალბი ქორწინების მოწმობა წარუდგინა. თითქოს 1968 წელს დაქორწინდა.

სახელისა და გვარის მეტი არაფერი

## განქორწინება სამტრედიულად

დაუტოვეს ლელიას. ფახურიძემ ვააქორწინა ისინი და ბავშვი მამას მიაკუთვნა. რვა თვის განმავლობაში იფიცებოდა ლელია, არა ვარ გიყიო და, ბოლოს, როგორც იქნა, დაიბრუნა შვილი!..

ტყემალზე მჯდარმა მოსამართლემ ჭიჭიკოს ჯერ ტყემალივით შეარჩინა ოფშკვიტში აშენებული სახლი, ხოლო როცა ღვინაძემ ფახურიძეს 1951 წლის ქორწინების მოწმობაც მიუბრუნა, ცოლის ბინიდანაც მოითხოვა წილი.

სასამართლომ საქმე გაარჩია ლ. გეგეჭკორის დაუსწრებლად. ფახურიძემ რატომღაც ყურად არ იღო მოქალაქე პარასკევა სანოძის მტკიცება იმის შესახებ, რომ სახლი ლელია გეგეჭკორმა მისგან იყიდა 1957 წელს და 12,5 კვადრატული მეტრი ბინა ორ ნაწილად გაპყო: 13,5 კვადრატული მეტრი ფარ-

თობი მიაკუთვნა ჭიჭიკოს, ხოლო 17 — ლელიას. საინტერესო და განსაცვიფრებელია — საიდან მოიტანა ფახურიძემ ეს 17 კვ. მეტრი? (ალბათ, დამხმარე სათავსებს გულისხმობდა!)

მოკლედ, სამტრედიის სახალხო სასამართლოს განაჩენის მიხედვით გამოდის, რომ ჭიჭიკომ იმ სახლში უნდა იცხოვროს არჩენად, ხოლო დედა-შვილმა — ხან სამზარეულოში, — რომელშიაც თავი კუდს ვერ მოიქნევს, თუ არ მოაჭერი — და ხან აივანზე!..

ახლა ბედნიერი ჭიჭიკო ოფშკვიტშიც ცხოვრობს და სამტრედიისშიც, თუმცა სამტრედიიდან 1972 წლის 25 ივლისსაა ამოწერილი. აქვს მიწის ნაკვეთიც, ხოლო ლელიამ უნდა გადაიხადოს მიწისა და სახლის გადასახადი (14 მანეთი) იმ ალიმენტიდან, რომელსაც ყოფილი ქმარი... არ უგზავნის!

კაი, ბატონო, ვთქვათ, ასე იცოდნენ წინათ განქორწინება სამტრედიისში, მაგრამ ახლა ლელია გეგეჭკორი რომ მცირეწლოვანი ბავშვით ხან საკუჭნაოში ცხოვრობს, ხან სამზარეულოში, ხან აივანზე და ისღა დარჩენია, მამალივით ქანდარაზე შემოსუბედეს, ხომ არ შეგვეხედა იმ ძველებურად მოკვარახჭინებული განქორწინებისთვის ახლებურად?

**რევაზ ოსეფაიშვილი,**  
„ნინავის“ კორესპონდენტი



# 5.000

ეპისტოლე მკრეხელთა მიმართ

პოვნა ავაზაკნი, რომელნი განკრეხვიდეს ტაძარსა მას.

მამათა ცხოვრება

ამშენებელი აგებდა — ანგრევდნენ ავაზაკები!.. მეც მათი ქება მენება, თუმც არ არიან საქები! — მნგრეველთა გვარი განქარდა, ამშენებელთა გადარჩა! თვალ-მარგალიტით სავსეა ჩვენი ხავერდი და ფარჩა!

ხუთი ათასი ძეგლია — ხუთი ათასი დიდება! წლები და საუკუნენი გარს ევლებიან ზვირთებად! იღვნენ, გელოდნენ განა შენ! — განა უქმნი და ჯაბანნი! — ძმობის ძეგლები, გუშაგნი ძველი ქართული ანბანის.

ძველი ქართველი დედების, მეზობელთა და სტუმართა!.. დიდია მათი სიმაღლე, ვითარცა მთათა მღუმართა! ჟამთა სიავემ ვერ ავნო, დღეს კი შენ, — ინდობ კი არა, — მშვიდობიანად ჩხაბნი და ქვებს აცლი მშვიდობიანად!

შენ მოგმართავენ, ძეგლის მტერს, ვინც მრუდე გზებით იარე. არც ღმერთი გწამდა, არც კაცი, ბელზებულს შეეზიარე! ბევრი ვანდალიც გვინახავს, თავში ჰქონია ნაცარი, სამიზნედ აურჩევია მწვერვალზე წმინდა ტაძარი!..

ან დააქცია ქალაქნი, აგვიკლო ლახტის ქებითა, ერთი მეჩეთიც ვერ შეკრა ამდენი წმინდა ქვებიდან! ჩარჩი რუსთველის მოპარულ ძველ სურათს ყიდდა ბაზარში, სხვა შოთას სახეს კაწრავდა ქვაბისხვეს, წმიდა ტაძარში!..

ამის მხილველმა ბრძენმა თქვა: „ვიგემე თვალში ხიწვიო! რანი ვიყავით, ვიცი და, რანი ვართ, აღარ ვიციო!.. არა ჩქარობდნენ პაპანი — მამაცები და ურჩები — მტკიცეა მათი ნაგები ხიდი, ტაძარი, ბურჯები.

ვინც დაივიწყა ამაგი, ურგი, ურცხვი და მარლია, კარტოფილივით ყვავილობს, ძირი მიწაში მარხია“. რისად გარჯილხართ, ჩინსებო?! ფუჭად მავალნო, ჰიპებო?! შენების ჟამი დამდგარა, მნგრეველმა ვეღარ იმეფოს!

ასრიკ-მასრიკა, აკოფა, ჯარჯო, თოდოსა... ტრელობა! დიდების ტაძრის სანთლების შრეტა თქვენი ხელობა?! ცუდი ხელობა გქონიათ! ყრულ იქეჭებით ნაცარში! ასე ვერ შეხვალთ ვეროდეს ქეშმარიტ ძმობის ტაძარში!

ცხრა ძველი ძეგლიც დაშალოთ, ერთს ვერ აიგებთ თავადა! ბაალის კერბი დაგიმხეს, ვერ იბოგინეს მტარვალთა, ხუთი ათასი ძეგლი კი შემორჩა აღმაშენებელს, რადგან წინ შუქი უძლოდა მამულის დამამშენებელს,

და ვერ დავვიმხო საწუთრომ, ყოველთა დამამხოებელმან, ქვა, ყბელზე უფრო მეტყველი, შემოგვინახა სოფელმან! შენ აგილია დედაქვა მასალად ღობე-ყორეთა! უგულო ვინმე ყოფილხარ, გარეშე ბრძენთა ყოველთა!..

ხელი, მკრეხელო! არ არის ეს წმინდა ძელქვა საშენო! შე ღმერთგამწყრალო, ამისი ფასი რა უნდა აშენო?! რომელმან ხელჰყო ვაგლახად ეს კედლები და სვეტები, მისთვის გოგირდის წვიმაა ყუყუნა წვიმის წვეთები!..


და ეს ისევე სწორია, როგორც — მედეა კოლხია, ჩვენს მატთანეს მტერმა რომ ბევრი ფურცელი მოხია, და მინც ჩვენდა შეთნილა, ვახტანგ გორგასლის თბილისი, სხვანი გამქრალან!.. ქართლოსის გზა ხსნილა სიბრძნის თილისმით!

შუმერთ გადმოყოლილი დიდება დარჩა ძეგლად, ღვას ბეთანია, ბოლნისი — დედაბოძები ძელქვათა! არ უჩქარიათ წინაპრებს, შენ რაღას ჩქარობ, მკრეხელო?! იდექით, თეთრო სვეტებო! მურყვამო გაუტეხელო!

გარს გალავანი მოგავლო ყოველისმხილველმა პარტიამ! ერის დიდების ბომონზე წმინდა სანთელი ანთია! შენ კი, მკრეხელო, რაღას კრეხ? თვალი ხომ არა გტყენია?! ხუთი ათასი მცველი ჰყავს ქართველი ხალხის გენიას!

შენს სახელს ლეთა ჩარეცხავს!.. და მარად ახლად ინთება ხუთი ათასი სანთელი — ხუთი ათასი დიდება!

აკაკი გელოვანი



ნახ. ზ. დვინაძის

## ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

— თქვენ ამბობთ, რომ გული გაწუხებთ?

- დიახ!
- თავის ტკივილს ხომ არ უჩივით?
- არა!
- უძილობას?
- არა!
- ჭამის მადას არ უჩივით?
- არა!
- აბა, რას უჩივით?
- კაცო, მე აქ საჩივლელად კი არ მოგსულვარ, სამკურნალოდ მოვედი!

\* \* \*

საყოფაცხოვრებო ტრესტის მმართველს ჯერ ყოფა უტირეს და მერე ცხოვრებაც დაჰკარგა!

ვახუჟა დვინაძე

## ურახები


- **მელოტი** სავარცხლის ქურდობაში დაიჭირეს.
- **საწუოზის** ახალი გამგე საწყობში ჰუტურუტანიდან შევიდა და კარებიდან ვეღარ გამოეცა.
- **ვირის** წიხლზე უარესი პანლური იცოდა და — მუტრუკია, ეპატიებაო!

ავთანდილ ქიმირიძე



— იაფად ვნაბამთ?! მიმობანდით ემბო, სიღმრთესულს მაღაჯიში, და იყიდეთ! მეს ჩე მაღაჯარჩი ჩემი ხელით!





ახალი სკოლის ბავშვნი

### პირობები

— თუ მგერო...  
— თუ მგერო...  
— თუ მგერო...

— თუ მგერო...  
— თუ მგერო...  
— თუ მგერო...

— თუ მგერო...  
— თუ მგერო...  
— თუ მგერო...

პირობები დონოლამე



დღითი, სოფელში,  
რომში მგელმა ჩაბოროტა;  
არ ენდობდა,  
არ უფრთხობდა იგი თარღს;  
ავად უკრიოდა  
ორი თვალი —  
ორი მხათობი;  
შშორის და ამაჲს  
საითფაზი აჩნდა ათობით.  
ტყუერი მგელმა  
და ერთ ეზოს მიუაურადა;  
ბრათვის ვაბო  
სადღ მძლიო ჰეფედა ბუღლად.  
მგელი,  
მუხალე ვაბუთი მიბმულს,  
ვახსო ქოფავას,  
უთხრა:  
ბედმავეო,  
ათაჲერი სვობს  
ავადობას მგლობს!  
ბუღლია შენი წინაპრები —  
მამაბაბა,  
წამოხვევი ტყუში!  
სანამ გიბდა, იყო ვაბანი?!  
რად დეგამართა?!  
ჩემი ტომი  
და ჩემი ვიბი,  
ქუტულო მონად,  
ჩვეს წინაშე ვანაკლებ შობით!  
ბაღის თარღზე  
სულ ამოდ  
მგელი ბრახობდა,  
ვაბუტულის გემო ნავას  
დაბრახობდა.


რამ და ცოლ-შვილი ერთ სამთობსი ბინას  
შეუვაკნობო. ვტირებდები ხომ არ შე-  
ვიღობდები ვერხო, კარგი ვანცხვება და-  
წერი, თანე სხვა ქალღვლები მიაყოლა, ზი-  
გი სამხატობდას, ზოგი ტყუილობის ბი-  
რობად, ზოგი სანამაბოდას, ვვალეფერი  
ადამსკომი ჩავაგაბოთ ვაგეფეფო, უღს-  
თავზე ახალსობაზე დამაგეფო, ცოტა ფე-  
ლი შობს, სხვებსაც ვერ სპობო, მერცხე  
ეცინებო-ეცინებოდა მიბეფა, რა უღა-  
მინა? მელ კლიტობას თეს ხომ არ შე-  
ვირცხვებო? იბათე ვერხო, კარგი ვანცხ-  
ვებები დამწეო, თან ქალღვლები მიაყო-  
ლა-მეო, დანერგ და თან ფული მიაყო-  
ლეს, ვანცხვებები ადამსკომი ჩავაგაბო,  
ფული კოფე დეფუდეს ასე რომ, გე ჩემი  
ბაღი ბინაბოდა მოგებდა ეს მთრებდა,  
არ მითიან, ფულ ავანერო, რომელი ფე-  
ლის ამბობის გე ვაგეფო ხომ ავანერო, კარგი  
მამსკობები დამწეო-მეოფი? ვაგეო უფრ-  
თობეა ცოლად იყიდებ და ვანცხვება ვერ  
დამწეო, ჩემი ბრახობა პაბუბი მათე მამ-  
წეულბუბს უღს შობსკობინ და არა სწე-  
თა უღდებო!

ლომინა ჯიბი

### შენითი აღმოჩენები


— გათვებს ვარ, რას არ ვადრულობ ეს ხალხი  
— რა იყო, რამ აღვაფხოვია?  
— რა და ავად მომბედა, ეს მოციქვლობა მან-  
თით უნდა აღმოჩენებო?  
— გე მარლად აღმოჩენი სენია, მაგარა, რამია  
საქმე, არ იტყვი?  
— რამია და, ჩემს პირდაპირ, რეასართულიან  
კორპუსში, ერთი ნახებია ვაცი ცხოვრობს. ჰოდა, ამას  
წინათ ვაგეფე, რომ მის ცოლს მინისტრის მოადგილე  
ანბანუბებდენ და ვადეფიდა, მუხობლურად მოციქო-  
ბე... სამსმი მარტო ოჯახის უფროსი დამწეო, ბრ-  
ვედალ ვერეო, ერთი მთებო, მაგარა რომ შეუასქნე ვეგო-  
ბუბის ვანერობასა მინახვართ-მეთეო, შემბატება  
კვტა ხანში შეგეფსიბილით და ჭადრაკე ვავანაღეო,  
შენ ხარ ჩემი ბაბო, მაგარა ვინ მოგავენა? ვაგეფე-  
და, ვერ ვინმე მუხობებდა შემეფო თავი და მიუღადა  
ჩემს მამსკინულს, მერე მთრებ და ასე რიგ-რიგობით...  
— მაგარ ავადებდა, ჩემი იბეფიტი? აჰ, არა, გე  
არ არის მლოტებლობა, ასეთ დროს მიუღოვაცებენი,  
აბა, რა იტყვი?  
— არა, მიუღევა არაფერი, მაგარა, ვერ ერთი,  
მეურღება დავიკრებო, შემწერადა ვამაბეფებით  
მარტო და, მერე ვინმე იყო, რა ჯანა? ავადებდაც  
ვირათება და ჩემი ცოლის მოტახილი თიავეფის ვკვე-  
თი დღეო!  
— გე მაგარა, მინადრავ იქ იყო? აჰე მარტო  
მივეფი?  
— მერე ვამბობე, იცოდა, რომ იქ ვიყავი და  
მიგებდა, მარტო ვიყავი მამაკაცები და უნდა დტ-  
რიაფებოლო, აბა, რა ეჭა, მაგარა გე კოფე არა-  
ფერი, მერე მის უნდა ვანახა, ეს ვადლე-დაცხვული  
ადამიანი რომ დამრებდა სამონისტრლდან გუგე დტ-  
ციკელო, სენი დღითი და პალტის იბიდა, რა  
ამსხრებე ცუდად დტრიალდა: ევა ერთი ვადამრჩ-  
ვალი გარის მუხობული და პალტის ჩამორთმევა არ  
დაუბარია?

— თუ, რას არ ვადრულობ ეს ხალხი  
— აბა, ვიფე ვაგეო, ჩემი უფროსი ვაგი იქვე იფეა  
და ხუფიდან ვანოდე ვაბტო, თორე იმ ლაქობის  
სურბას მამწეფეფად ვიდარ ვაგეფებო!  
— ვანადრე, იბეფო, გე ვერ არის, შენი ქოტეკუნა  
რალამ ვანახა იქ, ადამიანი?  
— როგორ არ ვანახა, ვაცი?! იმან მოციქონა  
მანქანით სამონისტრლდან, ადრევე მყავდა ვაგახნილი,  
მაგარა გე რაა, შენ მთრებ დღეს უნდა ვანახა რა თა-  
ვისმომწერილო ამბეო! რა ეჭა?  
— საღ, ვაგეო მთრებ დღეს იქ დამწეო!  
— არა, საღმნი არა, სამონისტრტში მთეაიბიხე  
ჩემი ქოტეკუნას სამხატრის თიავრე და ესედა, იქ  
არ იბეფდა ერთი ჩემი მუხობული?  
— ისეც სამთვარეზე იტყვობო.  
— პირველად ვერეო ვერხა, მაგარა ჩემმა რბაღმა...  
— შენს რბაღს რაღა უნდადა სამონისტრტში,  
ისი იქ მუხობო?  
— არა, ვავა მოუგანა თრბობით სპაბტო ქალს,  
ჰოდა, ვიფე ვაგეო, იმან შეუასქნა, რომ ეს მუხობუ-  
ლი იმ სამონისტრტში მუნაბობა, თორე შევიწმულ-  
ეფი ვაცი?  
— მე რომ ვაბტო, ჩემი იბეფო, მარტოა შენ-  
მღადაა აქ საქმე?  
— აბა, არა?! მაგარა ერთი საწენი ამავი შევი-  
ტრბე და...  
— რაო, უარი ვითხრა ბიჭის სამხატრეო?  
— აჰ, უარი როგორ მიგეფეო? მთრებო მანქანე  
ოჯახის ამბობდას, მაგარა მონახე ვეფო, მთრებო!  
— ოჰო! მალე მოუფიქრებია ვიწროდ არან თუ?  
— აბა, მონახე, ბინა შენამინახე ვაჰე! მარა...  
— აბა, რა თქვა მიტყვი?  
— მიტყვი არ ამბობს, თუეჭა თქული მისახვედრი  
არაა — მუხობობსა შეაწეებს, მტრია, და იმთა გუ-  
რბის! გეზობის დამსახვებები მიდობს!  
— მო! გე მთრებ ქუვანათ ახლია, მაგარა ახლია  
რალა გეწეულბები შენ და შენს მუხობულს!  
— იმთა უღს ახლია, დამწეფიბონ ახლი მაგ იტრი-  
სეთი ხალხს...  
— მერე, მერე ვადეფებდა, ჩემი იბეფი, გულა-  
ფნი ირებო?  
— მე რა, შე ვაცი?! ასე პატარა ვიდად ვენობი,  
რომ სითრის რეგებინდე? სანამ ჩემი სული მიდგას,  
მაგ ოჯახს თორე მივატრებ, ჩემს ვითლისსყოფელს!  
— მათი, ჩემი იბეფო, მარტოა მათია სკოლო  
მაგ სენის ადმოსახვერღად და, რაც უფრო დროზე  
იქნება, მით უკეთესი!  
— ა, ხომ მანკეფი შენი მცე დასკანებდე?! აბა,  
რომ არ მთრებდე?!  
— იბრალე ვიწმინდი  
სკანკურის მასალებიდან




რამ და ცოლ-შვილი ერთ სამთობსი ბინას  
შეუვაკნობო. ვტირებდები ხომ არ შე-  
ვიღობდები ვერხო, კარგი ვანცხვება და-  
წერი, თანე სხვა ქალღვლები მიაყოლა, ზი-  
გი სამხატობდას, ზოგი ტყუილობის ბი-  
რობად, ზოგი სანამაბოდას, ვვალეფერი  
ადამსკომი ჩავაგაბოთ ვაგეფეფო, უღს-  
თავზე ახალსობაზე დამაგეფო, ცოტა ფე-  
ლი შობს, სხვებსაც ვერ სპობო, მერცხე  
ეცინებო-ეცინებოდა მიბეფა, რა უღა-  
მინა? მელ კლიტობას თეს ხომ არ შე-  
ვირცხვებო? იბათე ვერხო, კარგი ვანცხ-  
ვებები დამწეო, თან ქალღვლები მიაყო-  
ლა-მეო, დანერგ და თან ფული მიაყო-  
ლეს, ვანცხვებები ადამსკომი ჩავაგაბო,  
ფული კოფე დეფუდეს ასე რომ, გე ჩემი  
ბაღი ბინაბოდა მოგებდა ეს მთრებდა,  
არ მითიან, ფულ ავანერო, რომელი ფე-  
ლის ამბობის გე ვაგეფო ხომ ავანერო, კარგი  
მამსკობები დამწეო-მეოფი? ვაგეო უფრ-  
თობეა ცოლად იყიდებ და ვანცხვება ვერ  
დამწეო, ჩემი ბრახობა პაბუბი მათე მამ-  
წეულბუბს უღს შობსკობინ და არა სწე-  
თა უღდებო!

პირობები დონოლამე



საბავშვო



საბავშვო



საბავშვო



საბავშვო



# სახალაო



...კატა ვერ შესწვდა კხვსათ, ხუთ-  
შაგათია ღოჯსათ!..

## წერილი ლეინსკინიდან


ცაგერის რაიონშია ერთი სოფელი ღვირიში; ერთხელ, ძვირფასო ნიანგო, ჩვენთან მობრძანდი, ვინ გიშლის?! მაგრამ ჩვენამდე მოღწევა რომ შეძლო, — არა მგონია: კლდის ძირში გზა გვაქვს ისეთი. მართლაც გულშესაღონია!..

ორი წელია გაჰყავთ და აღარ დაადგა საშველი!.. ავტობუსები უფრთხიან კლდეებს — ზეცამდე აშვერილს.

ჩვენი გზის გაფართოება, ნუთუ, დღეს ასე ძნელია?! ღვირიშელები, ნიანგო, შენს მართალ პასუხს ელიან!

ს. კლდისკირელი

ნახ. მ. მხედლიშვილისა



უსიტყვოდ

# რაფუზული სინდრომი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**მრავალი** რამ ფუჭდება ქვეყანაზე. ზოგიერთი ნივთი სწრაფად ფუჭდება და მალეფუჭად საქონელს ექაზიან. ზოგი ვინმე კი მოგვიანებით ფუჭდება და მას გაფუჭებულს არქმევენ სახელად. ზოგს, გაზაფხულზე გასაყოფად, შვილივით შენახული ხილი უფუჭდება, ზოგს — დედამთილ-სიღებრთან ურთიერთობა, ზოგსაც — ხასიათი. პირადად მე, გუნება ავტომობილის საბურავის დაშვების გამო გამოფუჭდა. ისიც მერე სად? ორთაქალაქსთან, რომლის უსაქმურობის დანახვაზეც აუცილებლად გაგიფუჭდება კაცს ხასიათი! შორს წასვლა არ დაჰქირვებია. საბურავი ჯერ კიდევ ს-ს-ს-ს-ს იძახოდა, მე კი, იქვე, თბილისის ავტოტექნომოსახურების № 12 სადგურის საბურავების შემკეთებელ სახელოსნოში გავჩნდი.

— ჩვენთან ცალი „პაკრიშის“ გარემონტება მანეთი ღირს, ძმაკაც!  
— კი მაგრამ... პრესკურანტი?!  
— შენ, გეტყობა, კარგად ვერა ხარ! ჩვენს პრესკურანტში ჩაწერილ ფასებს, შენ კი არა, მამალი ეშმაკი ვერ ამოიკითხავს. სხვათა შორის, დღეს რა დღეა?  
— 28 დეკემბერია... მაგრამ...  
— არავითარი მაგრამ! კლიენტზე გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი ბოლო ქვითარი 24 დეკემბერსაა გამოწერილი. შენ კი... რაღაც პრესკურანტი... ჰო, თანაც „პაკრიშა“ შენ თვითონ უნდა მოსხნა და დააყენო. თანახმა ხარ? მაშინ ესე მოდი! ო-ო-ო-ო-ო, კარგია!..  
მართლა კარგია?  
**მამო:** არ ვარგა!.. არ ვარგა!.. არ ვარგა!..

**ამოზიან.** გახურებულ გულს ცივი წყალი უხდებო. თუ კაცს გულის გახურება არ უწევს ხშირად, მან მანქანა მაინც უნდა გააგრილოს ცივი წყლით. რატომ მაინცდამაინც ცივი წყლით? იმიტომ, რომ მიუხედავად ავტოსამრეცხაოთა პრესკურანტებში შეტანილი სპეციალური პუნქტებისა, ჯერჯერობით, არც ერთი სამრეცხაო არ ხმარობს ცხელ წყალს (ალბათ, ხელების დაფუჭებისა თუ ეშინიათ). შორს წასვლა არც ამჯერად დაჰქირვებია. იქვე, ორთაქალაქსთან მდებარე ავტოსამრეცხაო სიაშოვნებით გისტუმრებთ, მაგრამ...

— გადაიხადეთ 1 მანეთი და 45 კაპიკი: ამ თანხიდან 0-90 კაპიკი მანქანის გარეცხვის ღირებულებაა, 0-55 კაპიკი კი — ავტომანქანის სალონის დასუფთავება-ამოსუფთავებისა!  
— რამდენი კაცია დასაქმებული დასუფთავება-ამოსუფთავებაზე?  
— ცვლაში ორი კაცი, მაგრამ დღეს მართო ერთი მუშაობს.  
— მერედა, რატომ არ ასუფთავებს?  
— კიდევ... თვითონ იმას... აი, ისა... მანეთიანი...  
ეგვიც რომ არ იყოს, მრეცხავი ავტომატი ყოველ ორ წუთში ერთ ავტომანქანას რეცხავს, რომლის სალონისა და კლიენტის ჩიბის დასუფთავება-ამოსუფთავებას დაახლოებით 8-10 წუთი სჭირდება. მაშ, რა იქნა დანარჩენი მანქანების 0-55 კაპიკი?  
**მამო:** რა იქნა!.. რა იქნა!.. რა იქნა!..

**ამას წინათ** პიანინოზე დასაღმელი საათი გამოფუჭდა (სხვათა შორის, პიანინოც ეჭვის წელია, რაც აიშალა, მაგრამ ვერსად

მოვიხელთე ამწყობი. სახელოსნოებში მეუბნებიან, ვინმეს კერძოდ თუ გაურბედებო). მაშ, ასე: გამიჩერდა საათი და წულუკიძის ქუჩაზე მდებარე ელექტროსაპარსების საგარანტიო სარემონტო სახელოსნოში ჩომუშავე მესაათეს მივადექი. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ჩემი ვოიაჟი სქემატურად მსურს წარმოვიდგინოთ:

**მე—გაფუჭებული საათი—მესაათე — ქვითარი, რომელსაც ფასი არ აწერია (იმან მე) — სამი მანეთი და ხამოცი კაპიკი (მე იმას)—საათი, რომელიც სამი დღის შემდეგ ისევ მოიშალა (იმან მე)—რამდენიმე, არც თუ ისე გულთბილი, გულში ნათქვამი სიტყვა (მე იმას) და ა. შ.**

**მამო:** რომელი საათია?! რომელი საათია?! რომელი საათია?!

**ზეთი ბარბია,** თუ ის ზეთუნის ან მზესუმზირისაა. კაცს რომ სახეზე ზეთი ჩამოსდის, არ ვარგა, ხოლო თუ ხელები ზეთიანი აქვს, კარგია. განსაკუთრებით „კარგია“: თუ ეს ზეთი ხელის ქუჭყია.

**თბილისის ავტოტექნომოსახურების № 12 სადგურში,** ავტოსამრეცხაოს გაგრძელებაზე, ავტომანქანების ზეთით გასაწეობი პუნქტი მდებარეობს. აქ ორი ოსტატი ტრიალებს ციბრუტივით, მანქანებს ზეთავენ და აგროვებენ... ზოგჯერ ქვითრებს, ზოგჯერ კი ნაღდ ფულს! ამ უკანასკნელს, ალბათ, ამიტომ, რომ სალაროს რიგში დგომით არ შეწუხდეს კლიენტი.

— შემდეგ ჩვენ თვითონ გამოვწერო ქვითრებს, „ობტომ“...

თუმცა, არსებითი მნიშვნელობა ქვითარს კი არა, ხუთმანეთიანს ეძლევა, რომელსაც სიაშოვნებით მიიქანებს ჯიბეში ხელმედაზეთილი ოსტატი. არის თუ არა რიგინი?

**მამო:** ურიგია.. ურიგია.. ურიგია!..

**აბა,** გაქცევა იქ უნდა გენახათ: თემქის დასახლებაზე უკან არ მოგვიხედავს! ტანსაცმელი ერთიანად დაგვისველა ოფლმა და მე-10 კვარტალში წამოკიმულ ქიმწმენდისა და თეთრეულის რეცხვის ფაბრიკას მივაშურეთ:

— ჩვენ მხოლოდ სასწრაფო შეკვეთებს ვღებულობთ! დამატებით ოცი პროცენტი უნდა გადაიხადოთ, სიჩქარისა! ზევ დილით შემოიარეთ და გაწმენდილ ტანსაცმელს გაგატანთ!..

— კი მაგრამ, სასწრაფო შეკვეთა ხომ ოცდაოთხ საათში უნდა შესრულდეს?

— ბევრს ნუ ლაპარაკობთ! მაგას სჯობს, თქვენ თვითონ ააჭრათ პიჯაკს ფოლაქები, თორემ გაწმენდისას ყველანი დამსხვრევიან!..

— კარგი, ოღონდ თქვენ ნუ გადააჭარბებთ სიჩქარეს!..

**მამო:** მოჩქარეს მოუგვიანდეს!.. მოჩქარეს მოუგვიანდეს!.. მოჩქარეს მოუგვიანდეს!..

**მრავალი** რამ უფუჭდება ქვეყანაზე. ზოგს რძე ეკრება, ზოგს ძროხა უბერწდება, ზოგს კი კბილი უფუჭდება, მაგრამ, ყველაზე ცუდი, მაინც ხასიათის გაფუჭება!

როლანდ ჯალალანი.



# Unidad

VOCERO DEL PUEBLO CONTRA LA OLIGARQUIA Y EL IMPERIALISMO



ამ რამდენიმე ხნის წინ პანამის პოპულარულ გაზეთში, ოლიგარქიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის ორგანო „უნიდადში“ („ერთიანობა“) დაიბეჭდა ცნობილი პარტოველი მსაბჭარი-პარიკაბაურის-ტის გივი ლომიძის პოლიტიკური კარიკატურა, რომელსაც დამსახურებული მოწონება ხვდა წილად.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ქართველი კარიკატურისტების ნახატები საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება.

ბ. ლომიძეს ამჟამად გაგზავნილი აქვს ექვსი პოლიტიკური კარიკატურა, რომელიც გამიზნულია მექსიკის ჟრესაში დასაბეჭდად.

## პასაკმბს

იყიყინეთ ვასაკებო, სიმღერაუასაკებო!  
 გირწევიათ ნარ-ეკალი, ღვარძლზე ამონარეკალი!  
 თქვენ ყოფილხართ აშვებული, ღრუბლებს შეთამაშებული!  
 გირბევიათ სოფელი, მარად ჩაუქრობელი,  
 მერმისი და წარსული, უარსო და არსული!  
 გირცხვენიათ მამული, ცრემლში ამონამული!  
 გაიბერეთ, გაიქაჩეთ, ჩაიჯიბეთ, ჩაიყაჭეთ!  
 ეხვეოდით მათათა შუნებს, გიტაშუნეს, ატაშუნეთ!  
 რაც მზე იფესვებოდა, რაც ტყე იკემსებოდა,  
 რაც სიმღერა ქარს ება, დღეს მზით შეიგარსება!  
 ივსებოდით სხვისებით, მათრახების ღირსები!  
 მოსულია დრო შვების, ანთებული დროშების!  
 ჭაობს მოაფიქალეხს, მიეცემით გრიგალეხს!  
 იყიყინეთ ვასაკებო, სიმღერაუასაკებო!

გური ფიქალეკა

## ნაკიდებს გვნაკან

წამო ავსალაში, უწყრის ქუჩაზე, ღია არხია, იქვე სკოლაა. არხში გაბინძურებული წყალი მოედინება და მომწამლავი „სურნელი“ მოჰყვება. აქ ანტისანიტარის კერაა. ჟურნალ „ნინავის“ გასული წლის № 18-ში რამდენიმე სიტყვით იქნა მოხსენებული უწყრის ქუჩაზე მცხოვრებთა კანონიერი მოთხოვნა. როგორც ჩანს, ამ ქუჩას შეეეთება 1977 წელს არ ეწერა, იქნებ 1978 წელს უწერია?

\*\*\*

გორში ბინების გათბობა მოუწესრიგებელიაო. ქალაქის მცხოვრებთა ერთი ნაწილი ისეა გახურებული, მეორეში გარბის შუბლის გასაგრილებლადო. აქ გაზის წნევა დაბალია, იქ მაღალიო. ვერა და ვერ მოიძებნა ზიარტურქელი. ამასთან დაკავშირებით, გვწერენ გორელები, ჩვენც ხან აგვიწევს წნევა და ხან დაგვიწვესო. აღარ ვიცით, ვის ვეცტო, გორგათბობას, თუ ჯანგათბობაზე გადავიდეთ?

\*\*\*

ტარბა ხანია, რაც ცხინვალში ცისფერი ალი აინთო, რამაც ძალზე გაგვახარა. შუშა, ნახშირი და მისი მოწყობილობა არქივს ჩაბარდა. ყველაფერი გამარტივდა, მაგრამ ხშირია ისეთი დღეები, როცა ისევ ნახშირი და შუშა გვენატრება. ახლა აღარც ძველებურად ვთბებით და აღარც ახლებურად. ზამთარი კი ძველებურად ზამთრობს.

\*\*\*

1976 წლიდან ვცხოვრობთ გლდანის I მიკრორაიონის VI კორპუსში. მესამე ზამთარია, კეთილმოწყობილ ბინებში გაყინულ რადიატორებს შევცქერით. სიცივემ თავისი გაიტანა და გათბობის მამაპაპური საშუალება — ლოგინი მოგვაგონა.

\*\*\*

ერთსართულიან სახლებში 33 ოჯახი ვცხოვრობთ (თბილისი, ავქალის გზატკეცილი № 72) საცხოვრებელი ტერიტორიის შემოგარენი დაჭაობებულია. გზების უმეტესი ნაწილი მოუასფალტებელია. გამეფებულია ანტისანიტარია. ბინების კედლები დაბზარულია, დაზიანებულია ქერი, საიდანაც წყალი კარგ ამინდშიც კი ჩამორაკაკებს. გარშემო გაპარული გაზის არასასიამოვნო სუნი შეიგრძნობა. განათება ხშირად არ არის.

ერთი სიტყვით, აღნიშნული ადგილი და ბინები საცხოვრებლად უფარგისია, სამუხეუმოდ კი უკეთესი არ მოიძებნება!

\*\*\*

ტასპის კინოთეატრ „კომკავშირელში“ დასწრება ნებაყოფლობითია. შიგ შესვლა თქვენი ნებაა. გარეთ გამოსვლა კი — კინოშეპირიკოსის. დარბაზში სკამების ერთი ნახევარი დამტვრეულია, მეორე ნახევარი — დაუნდობრავი. დაჯდომა მოსწრებაზეა, ფეხზე დადგომა სურვილის მიხედვითაა. სტვენა, ყვირილი და სკამების მტვრევა ზოგიერთი „კარგი“ მაყურებლის დამსახურებაცაა.

შანი სინარულიმ

ნახ. ბ. ლომიძის




— ყოველ წელიწადს რომ თბილ ქვეყნებში მიფრინავს, საიდანა? რა სახსრებში? გვიჩვენებთ მშენ!





78-53

7-78



ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყებამ — კენტავონმა — 1978 წელს რეკორდული ბიუჯეტი მიიღო: წინა წლებთან შედარებით იგი 10 მილიარდი დოლარით გაიზარდა და მიაღწია უზარმაზარ თანხას — 130 მილიარდ დოლარს! ასეთი ახალი ახალი „რეკორდებით“ კენტავონი ლახავს ამერიკელი ხალხის საარსებო ინტერესებს და აძლიერებს ომის საფრთხეს.

ნახ. ბ. ლომიძისა

ვახვანი

გთავაზობთ რედაქტორი ჯორჯან გეგაზაშვილი სარედაქციო კოლეჯია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. ნანიავაძე, ჯ. ლომია, ბ. ლომიძე, ნ. ვალაშვილი (მხატვ. რედ.), ბ. ნოზიანიძე, ბ. სხარულიძე (პ/მ. მდიანი), ბ. დიმიტრაშვილი, თ. ველიძე

● გამომცემი რედაქტორი ბ. კახალაშვილი. ● საბჭოთა და იუზოვის მუხრანის ნიანაძე. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42

● საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობა. ● გადაეცემა ასაწყობად 6/1-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/11-78 წ. ქალაქის ზომა 70 x 108/16

● ფაბრიკის წარმომადგენელი 2. საბჭოთა-საგამომცემლო თანხა 1.7 ● საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შანა 42 შპს 00009 ტარ. 145.000 ● თბილისი, პრ. რუსთაველი № 42. Сатирико-юмористический журнал «Хуанги». ● Издательство ЦК КП Грузии ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 95-26-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

ნახტი თემის ავტორები: ბ. ლომიძე, ბ. ვალიძე, ბ. დიმიტრაშვილი, ბ. კახალაშვილი, ბ. ნანიავაძე, ბ. ლომია, ბ. ლომიძე

